საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 25 იანვრის
დადგენილება №856

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის
სერტიფიკატის გაცემის წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის გაცემის წესი (დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე

დანართი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის
დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის გაცემის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი ადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – სტუ) მიერ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრედიტი) დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის (შემდგომში – სერტიფიკატი) გაცემის წესს.
2. სერტიფიკატის გაიცემა პირზე, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47^3-ე მუხლის თანახმად ჩაირიცხა სტუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი ან ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის ქართულ ენაზე გაგრძელების მიზნით.
3. სერტიფიკატის გაიცემა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრედიტი) დასრულების თაობაზე ფაკულტეტის საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსული სტუ-ს რექტორის ბრძანებით.
4. სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილია სტუ, რომლის სტრუქტურული ერთეული – ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი – ახორციელებს აღნიშნული პროგრამის სწავლებას.

მუხლი 2. სერტიფიკატის მონაცემები

1. სერტიფიკატი (იხ. დანართი 1) არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ დამცავ ნიშნებს.
2. სერტიფიკატი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.
3. სერტიფიკატზე გამოიყენება ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირის ავთენტიკური ხელმოწერა.
4. სერტიფიკატზე უნდა მიეთითოს:
ა) წარწერა ,,საქართველო“.
ბ) წარწერა ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“.
გ) სტუ-ს ლოგო.
დ) წარწერა ,,სერტიფიკატი.”
ე) სერტიფიკატის ინდივიდუალური ნომერი.
ვ) იმ პირის სახელი და გვარი, რომელსაც მიენიჭა სერტიფიკატი და ინფორმაცია მის მიერ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრედიტი) გავლის შესახებ.
ზ) ფაკულტეტის დეკანის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა.
თ) რექტორის (ან მოადგილის) სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა.
ი) სერტიფიკატის გაცემის ადგილი.
კ) სერტიფიკატის გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი).
ლ) სტუ-ს გერბიანი ბეჭედი.
მ) სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი სერტიფიკატის და მისი დუბლიკატის რეგისტრაციის მიზნით წარმოებულ ერთიან რეესტრში (შემდგომში სერტიფიკატის რეესტრი. იხ. დანართი 2).

მუხლი 3. სერტიფიკატის დუბლიკატი

1. სერტიფიკატის დუბლიკატი (შემდგომში – დუბლიკატი) გაიცემა იმ პირზე, რომლის სერტიფიკატი აღარ არსებობს, ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.
2. დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილია სტუ.
3. დუბლიკატის შედგენისას ივსება წინამდებარე ინსტრუქციით დამტკიცებული სერტიფიკატის ფორმა, რომელსაც დაესმება შტამპი ,,დუბლიკატი".
4. დუბლიკატის რეგისტრაცია ხდება სერტიფიკატის რეესტრში.

მუხლი 4. სერტიფიკატის ბლანკი

1. სერტიფიკატის ბლანკი იბეჭდება სწავლების დეპარტამენტის შეკვეთით სტუ-ს სტამბის მიერ, წინამდებარე ინსტრუქციის მეორე მუხლის და ამ მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნების დაცვით.
2. სერტიფიკატის ბლანკისათვის გამოიყენება თეთრი ან ღია ფერის A4 ზომის მასის ქაღალდი.
3. სერტიფიკატის ბლანკი არსებული წესით გადაეცემა დიპლომების სექტორს.

მუხლი 5. სერტიფიკატის (დუბლიკატის) შევსება და გაცემა

1. სერტიფიკატის შევსების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ბრძანება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესახებ.
2. სერტიფიკატის დუბლიკატის შევსების საფუძველს წარმოადგენს სტუდენტის განცხადება (რექტორის სახელზე) სერტიფიკატის დაკარგვის ან სარგებლობისათვის უვარგის მდგომარეობაში ყოფნის შესახებ და სტუ-ს ანგარიშზე შეტანილი სათანადო საფასურის გადახდის (10 ლარი) ქვითარი.
3. დიპლომების სექტორში შევსებული სერტიფიკატი გადაეცემა რექტორს (რექტორის მოადგილეს) ხელის მოსაწერად.
4. ხელმოწერილი სერტიფიკატი (დუბლიკატი) სტუ-ს გერბიანი ბეჭდით დამოწმების შემდეგ უბრუნდება დიპლომების სექტორს.
5. სერტიფიკატის (დუბლიკატის) გაცემას აწარმოებს სტუ-ს დიპლომების სექტორი.
6. სერტიფიკატი (დუბლიკატი) გაიცემა პირადობის მოწმობის (პასპორტის) წარმოდგენის საფუძველზე იმ პირზე, ვის სახელზეცაა იგი შევსებული. დასაშვებია სერტიფიკატის სხვა პირზე გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით (მინდობილობით).

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სერტიფიკატი

2010-2011 სასწავლო წელს

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიარა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი)

დეკანი
რუსუდან ქუთათელაძე

რექტორი
არნოლ ფრანგიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სერტიფიკატების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი

2012 წლის 14 ოქტომბრიდან

რეგის-ტრა-ციის №	გვარი, სახელი, მამის სახელი	ფაკულტეტის დასახელება	ჩარიც-ხვის ბრძა-ნების №	კურსდამთავ-რებულის პირადობის მოწმობის/ პასპორტის №	სერტი-ფიკატის გაცემის თარიღი	სერ-ტიფი-კატის №	კურსდამ-თავრებუ-ლის ხელმოწე-რა